ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები, განხორციელებულია მუნიციპალური შემოქმედებითი კოლექტივების საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.  უზრუნველყოფილია ბილიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია საბიბლიოთეკო ფონდი.	კულტურის ცენტრთან არსებული კოლექტივების მონაწილეობით განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	40	40	42	44	46	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული გასტროლების რაოდენობა	7	5	5	7	6	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის ზრდა	44520	44670	44870	45100	45400	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი
	რეგისტრირებულ მკითხველთა რაოდენობა	750	780	800	820	850	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 02 02

**ქვეპროგრამის დასახელება:**

ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა

არის ქვეპროგრამა ახალი? არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა

**დაფინანსების წყარო**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	122 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>122 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები წავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის უფლებით სარგებლობენ ბავშვები 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის სამი განყოფილება კერძოდ: საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური განყოფილება. ხალხურ განყოფილებაში ისწავლება ქართული ცეკვა, რომელშიც ორი ჯგუფია გოგონებისა და ვაჟების. ამ ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ შერჩევითი საგანი, კერძოდ: სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, ჭიბონი, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ქორეოგრაფიული და ფოკლორული ანსამბლები: „ჩანგი“, „საუნჯე“, „იასამანი“. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში სამემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლი და სხვა მოტივაცია).

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	29		115 100
საქონელი და მომსახურება			5 300
სხვა ხარჯები			400
არაფინანსური აქტივების ზრდა			1 200

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
<b>შრომის ანაზღაურება</b>	X	X	X	X
<b>საკონელი და მომსახურება</b>	X	X	X	X
<b>სხვა ხარჯები</b>	X	X	X	X
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	X	X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა;</li> <li>✓ მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;</li> <li>✓ კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.</li> </ul>
--

**ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
ჩატარებული გაკვეთილები, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში ჩატარებული საგაკვეთილო საათების რაოდენობა  (ერთ კვირაში 352 საათი, ერთ თვის განმავლობაში 1408 საათი, წლის განმავლობაში 10208 საათი)	10208	10208	10208	10208	10208	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	მონიტორინგი
	წლის განმავლობაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების მონაწილეობა ქვეყნის შიგნით განხორციელებულ კულტურულ ღონისძიებებში	20	20	20	25	30	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	მონიტორინგი
	წლის განმავლობაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების მონაწილეობა ქვეყნის გარეთ განხორციელებულ კულტურულ ღონისძიებებში (საერთაშორისო ფესტივალებში)	2	1	1	1	1	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	მონიტორინგი
	განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა	23	15	20	25	25	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

კულტურის განვითარების ხელშეწყობა
----------------------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 02 03

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი

არის ქვეპროგრამა ახალი? არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	67 800
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>67 800</b>

ქვეპროგრამის მიზანი:

მოპოვებული მასალის დაცვა-შენახვა მისი მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება, პუბლიკაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა

ქვეპროგრამის აღწერა:

მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილი და გამოფენილია 5 000 ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეზე კვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი, ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები, ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს. დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტი.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>სულ</b>			67 800
<b>შრომის ანაზღაურება</b>	9		45 000

საქონელი და მომსახურება			20 500
სხვა ხარჯები			300
არაფინანსური აქტივების ზრდა			2 000

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
სხვა ხარჯები	X	X	X	
არაფინანსური აქტივების ზრდა		X	X	

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

<p>✓ ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების საველე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია.</p>
---

დანართი 6

**ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი ორგანიზაცია, სამსახური	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების საველე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია	საველე კვლევა-ძიების რაოდენობა	3	2	3	3		რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	მონიტორინგი
	მნახველთა რაოდენობა	631	800	1000	1200	1300	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	მონიტორინგი
	დაცული ესპონატთა რაოდენობა (არანაკლებ)	5807	5830	5850	5875	5890	რაოდენობა	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:



კულტურის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 02 04

ქვეპროგრამის დასახელება: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

არის ქვეპროგრამა ახალი? არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	71 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>71 000</b>

ქვეპროგრამის მიზანი: გარდღილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში, ჩატარდება ტრენინგები, მოწყობა გამოფენები ადგილობრივ, საერთაშორისო ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა; მოწყობა ღონისძიებები საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნებიან ბენეფიციარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. უზრუნველყოფილი იქნება ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა კვება, სატრანსპორტო და სხვა თანამდევ მომსახურებები. იმ ხელოვნათა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობაში შესაბამისი გარემოს შექმნა. ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყობა კულტურულ-გასართობი ლაშქრობები, ექსკურსიები, ტრენინგები და სხვა აქტივობები.

**დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება** - ჩატარდება კონცერტები მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების მონაწილეობით, ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იქნება 75 ქალბატონი, რომლებსაც გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

**8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება** - რუსეთ საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის საფლავის მონახულება სოფელ მერისში, გმირის საფლავის გვირგვინითა და ყვავილებით შემკობა.

**სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედში** - ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა აჭარული კერძების მომზადების იმიტაცია, ღვინის დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის იმიტაციები, აჭარული კერძების გამოფენა, ქედის ისტორია - ფოტოებისა და პუბლიკაციების გამოფენა, ეთნოგრაფიული და სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა, ჭიბონის, ხეზე კვეთის, თამბაქოს ჭრის, გიდელის, გოდრისა და ზადის ქსოვის იმიტაციები, მოეწყობა სპორტული ღონისძიებები, საბავშვო კუთხის მოწყობა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, საპატიო ქედლების დაჯილდოება და სხვა აქტივობები.

**ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა** - ღონისძიებები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ჩატარდება საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მოეწყობა ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები, მხატვრული, დოკუმენტური, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა აქტივობები. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა გამოფენები. სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება ბენეფიციარების შერჩევა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება.

**ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები** - მოეწყობა კულტურულ ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ექსკურსიები, ლაშქრობები, კულტურულ-საგანმანათლებლო ტრენინგები და სხვა აქტივობები.

**ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები** - სხვადასხვა აქტივობების, ექსკურსიების ჩატარება, ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ღონისძიებების უზრუნველყოფა, საინფორმაციო შეხვედრები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვადასხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება.

**კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები** - კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დისტანციურ რეჟიმში/ჩატარება, ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ღონისძიებაში ქედის მუნიციპალიტეტის ბენეფიციართა მონაწილეობა, გამარჯვებული ბენეფიციართა დაჯილდოება ფულადი საჩუქრით. ასევე ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება

**ინტერმუნიციპალური ღონისძიებები**- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებებში, ღონისძიებებსა და დაკავშირებული თანმდევი დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ტრანსპორტირება, კვებით უზრუნველყოფა, ფასიანი საჩუქრების და ინვერტარის შეძენა.

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	1	4000	4000
8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	1	500	500
სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში	1	15 000	15 000
ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	1	15 000	15 000
ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები	4	10 000	10 000
ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები	9	10 000	10 000
კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება	1	11500	11500
ინტერმუნიციპალური ღონისძიებები	1	5000	5000

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	X			
8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება			X	
სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში			X	X
ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	X	X	X	X
ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები		X	X	X
ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები	X	X	X	X
კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება „ეტალონი“	X	X	X	X

ინტერმუნიციპალური ღონისძიებები	X	X	X	X
--------------------------------	---	---	---	---

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

ჩატარებული კულტურული ღონისძიებები

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები										
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, ჩატარებული კულტურული ღონისძიებები	განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	34	28	35	36	37	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

**პროგრამის განაცხადის ფორმა**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

**პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 05 03

**პროგრამის დასახელება:**

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

**პროგრამის განხორციელების პერიოდი:** 2021-2024 წლები

**პროგრამის მიზანი:**

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამის აღწერა:  
 პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:  
 - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;  
 - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

**პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამულ კოდს	პროიექტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	სულ	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>215,000</b>	<b>30,000</b>	<b>50,000</b>	<b>60,000</b>	<b>75,000</b>
05 03 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	125,000	20,000	30,000	35,000	40,000
05 03 02	გენდერულ თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	90,000	10,000	20,000	25,000	35,000

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები

**პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო	ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელებული პროექტების რაოდენობა	2	2	3	3	4	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ინიციატივები	ლონისძიებებში ჩართულ ახალგაზრდების რაოდენობა(არანაკლებ)	700	760	790	810	820	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	მონიტორინგი
--------------	---	-----	-----	-----	-----	-----	-----------	--	--	-------------

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
---------------------------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03 01
----------------------------------	----------

**ქვეპროგრამის დასახელება:**

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;
--

არის ქვეპროგრამა ახალი?      კი/ არა
--------------------------------------

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური
--

**დაფინანსების წყარო**

	დასახელება	2021 წელი
	მუნიციპალური ბიუჯეტი	20 000
	სახელმწიფო ბიუჯეტი	0
	<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>20 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭერა
--

**ქვეპროგრამის აღწერა:**

<p>მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის გუნდებს შორის შეჯიბრი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლის გუნდების მომზადებას, სარეკისორო ხარჯების ანაზღაურებას, დასკვნით ფინალურ თამაშზე მონაწილე გუნდების ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და გარდამავალი თასით.</p> <p><b>ლაშქრობის და ბანაკის მოწყობა ღირშესანიშნავ ადგილებში</b></p>
--

ლონისძიების მიზანია ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და საქართველოს კუთხეებში არსებული ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნავი გაცნობა.

**აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?"**

ლონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი და მეორე ეტაპზე გადასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმში დასკვნით ფინალურ თამაშში მონაწილეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კვების და სატრანსპორტო მომსახურე

**გაიცანი საქართველო**

ლონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში ტერიტორიაზე ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება, ლონისძიების მონაწილეობას მიიღებენ 14-28 წლამდე ახალგაზრდები.

**მუნიციპალური კონკურსი თემაზე „მე მიყვარს ქედა“ საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის**

( მოსწავლეები დაიწერენ 3-6 გვერდიანი ნაშრომს, რომელსაც გაასწორებენ ჟიურის წევრები, გამოვლინდება სამი საუკეთესო ნაშრომი და საპრიზო ადგილის მქონე ნაშრომები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით)

**„ინტელექტის დღე-2021“**

ლონისძიების ფარგლებში დაგეგმილია- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქ. თბილისში დასკვნით ფინალურ თამაშში, ფინალურ თამაშზე მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული გუნდები. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გამარჯვებული გუნდის კვების და სატრანსპორტო მომსახურე.

**თავისუფალი პროექტების დაფინანსება**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები. პროექტის დაფინანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწავლისადმი სიყვარულის გაზრდას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას.

**ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)"**

ქვეპროგრამის მიზანია ტრენინგ-სემინარის ჩატარება აქტუალურ თემებზე და მიზანდასახავს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ახალგაზრდას უქმნის მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

**კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში**

ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები დაახლოებით 190 მოსწავლე, ლონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.

**პაემანი პოეზიასთან**

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების დაინტერესება პროზით და ახალგაზრდა დაწყები პოეტების შემოქმედების გაცნობა საზოგადოებისათვის

**ახალგაზრდობის სერთაშორისო დღის აღნიშვნა**

ახალგაზრდების წახალისება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად რონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, გასართობი და შემეცნებითი პროგრამები

**მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები** სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციების,გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

N	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
1	მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის	1	4000	4000
2	ლაშქრობის და ბანაკის მოწყობა ღირსშესანიშნავ ადგილებში	1	1800	1800
3	აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?"	1	400	400
4	გაიცანი საქართველო	1	2500	2500
5	მუნიციპალური კონკურსი „მე მიყვარს ქედა“ საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის	1	1000	1000
6	„ინტელექტის დღე-2021“	1	1300	1300
7	თავისუფალი პროექტების დაფინანსება	1	1800	1800
8	ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)"	1	1000	1000
9	კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში	1	1700	1700
10	პაემანი პოეზიასთან	1	800	800

11	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	1	1900	1900
12	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები  (სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა)	1	1800	1800
<b>სულ ჯამი</b>				<b>20 000</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

	დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
1	მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიანთა გუნდებს შორის		X		
2	ლაშქრობის მოწყობა სხვადასხვა ადგილებში		X	X	X
3	აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?"		X		
4	შეიქმნას საქართველო		X	X	
5	მუნიციპალური კონკურსი „მე მიყვარს ქედა“ საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის		X		
6	თავისუფალი პროექტების დაფინანსება	X	X	X	X
7	ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)"	X	X	X	X
8	კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში		X		
9	პაემანი პოეზიასთან	X	X	X	X
10	„ინტელექტის დღე-2021“		X		
11	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა			X	
12	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები  სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა)	X	X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

გაზრდილია ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა
---

**ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
გაზრდილია ახალგაზრდების ინტელექტუალური-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა	ინტელექტუალური-შემეცნებითი პროექტების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით	13	16	18	20	22	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	მონიტორინგი
	მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული ინტელექტუალური-შემეცნებითი პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა (არანაკლებ)	700	760	790	810	820	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

**ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:**

05 03 02

**ქვეპროგრამის დასახელება:**

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა



თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური
--

**დაფინანსების წყარო**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>10 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება
---

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ ქალთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ იხე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

მიუხედავად ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაუმჯობესებისა, ქედის მუნიციპალიტეტში ქალები არ არიან ჯეროვნად ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

გენდერული დისბალანსი დაბადებისას ქალთა დისკრიმინაციის მაჩვენებელია და სქესთა შორის დარღვეული ბალანსის მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების ჯუფში ხვდება, სადაც გოგონები დაკარგულნი არიან დაბადებისას.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება და აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მეინსტრუქინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

**„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“** - ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას;

**„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“** - მისი მიზანია არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

**„ფორთხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“** - მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ-ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება.

**„ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობებში“** - ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თანასწორობის პრინციპები და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა.

**ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები** - საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე.

**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ-სემინარების ჩატარება** - ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება.

**„გენდერის საათი“** - ადგილობრივი მოსახლეობის, საზოგადოების გაერთიანება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპების დასაცავად, გენდერულ თანასწორობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

**მრგვალი მაგიდა/შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან** - სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინფორმირება ქალთა მიმართ დაან ოჯახში ძალადობის საკითხებზე და ძალადობის მსხვერპლთათვის იურიდიული დახმარების სერვის

ების შესახებ.

**მეწარმე ქალები - გაიზიარე წარმატების მაგალითი** - სტარტაპებისთვის და მეწარმე ქალებისთვის მოეწყობა გავსილით გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რომელიც ხელსშეუწყობს ახალი კონტაქტების შექმნას, გაიზიარონ ახალი ბიზნეს პარტნიორები და განახორციელონ ახალი ბიზნეს იდეები.

**„სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე“** - რომლის მიზანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობა, მათი წვლილის აღიარება ადგილობრივ განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში, ასევე სოფლად სიღარიბის დაძლევაში.

**„გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება“** - მიზანი: მოსახლეობის ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების კუთხით და გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის, ქალთა ოთახის სერვისების გაცნობა.

**„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“** - მიზანი: ხაზგასმა, რომ ადამიანები თანასწორი ვართ და ყველას გვაქვს თანასწორი უფლებები მიუხედავად იმისა, რომელ სტრუქტურას წარმოვადგენთ, რომელ აღმსარებლობას მივყვებით, რა ენაზე ვმეტყველებთ, და ა. შ. ზალანსი ორ მნიშვნელოვან ამოცანას შორის: „ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა და ეს არის ადამიანის დაცვა“;

**„ როგორ გავხდეთ წარმატებული ადამიანი“** - სკოლის მოსწავლეებისათვის გაიმართება მინი-ლექცია და დისკუსია „იყავი წარმატებული“, რა არის წარმატება და რა უნარჩვევებია ამისთვის საჭირო“.

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“.	1	950	950
„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“	1	900	900
„ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“	1	600	600
„ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობებში“	1	1200	1200
ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები	1	750	750
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება	1	640	640
„გენდერის საათი“	1	750	750
მრგვალი მაგიდა/შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან	1	700	700
მეწარმე ქალები - გაიზიარე წარმატების მაგალითი	1	600	600
სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე	1	1000	1000
„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“	1	600	600
„გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	1	890	890
როგორ გავხდეთ წარმატებული ადამიანი	1	420	420
<b>ჯ ა მ ი</b>	x	x	<b>10 000</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“.				X
„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“				X
„ფორთხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“				X
„ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობებში“		X		
„გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	X			
ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები		X		
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება				X
„გენდერის საათი“			X	
მრგვალი მაგიდა/შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან				X
მეწარმე ქალები - გაიზიარე წარმატების მაგალითი		X		
<b>სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე</b>				X
როგორ გავხდეთ წარმატებული ადამიანი		X		
„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“				X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021წელი)**

ინფორმირებულია მიზნობრივი სემინარი გენდერული თანასწორობის შესახებ

*ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა

**ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:**

05 04 01

**ქვეპროგრამის დასახელება:**

სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

**თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?**

არა

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

**დაფინანსების წყარო**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	70 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>70 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ქვეპროგრამის მიზანია სოფელ მერისში არსებული კულტურის სახლის შენობის გარემონტება

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მერისის კულტურის სახლის შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. კერძოდ კარ-ფანჯრების შეცვლა, იატაკის რემონტი და კედლების გაბათქაშება-გაღებვა. სამუშაოების ჩატარებისათვის საჭიროა 46 500 ლარი.

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი			<b>70 000</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი		X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

გარემონტებული და კეთილმოწყობილი კულტურის სახლი

**ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გარემონტებული და კეთილმოწყობილი კულტურის სახლი	კმაყოფილი მოსახლეობა	0	80	80	80	80	კვ.მ	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მონიტორინგი

**დამატებითი ინფორმაცია:**

**პროგრამის განაცხადის ფორმა**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	06 01
--------------------------------------	-------

**პროგრამის დასახელება:**

ჯანმრთელობის დაცვა

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2021-2024 წლები
--	-----------------

**პროგრამის მიზანი:**

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**პროგრამის აღწერა:**

- ამბულატორიული მომსახურება;
- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა;
- ოპერაციის მკურნალობის თანადაფინანსება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

**პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამულ კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1,322,000</b>	<b>1,280,000</b>	<b>1,343,000</b>	<b>1,403,000</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>785,800</b>	<b>769,000</b>	<b>783,000</b>	<b>800,000</b>
06 01 02	ამბულატორიული მომსახურება	191,600	152,000	152,000	155,000
06 01 03	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	154,000	165,000	170,000	175,000
06 01 04	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	85,200	90,000	92,000	94,000
06 01 05	სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	5,000	7,000	9,000	11,000
06 01 06	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	50,000	55,000	60,000	65,000
06 01 07	მოწყვლად სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	300,000	300,000	300,000	300,000

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

**პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი ორგანიზაცია, სამსახური	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული შედეგები	15000(არაუმეტეს)	16000(არაუმეტეს)	16000(არაუმეტეს)	16000(არაუმეტეს)	16000(არაუმეტეს)	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური	მონიტორინგი

								დაცვის სამსახურ ი		
--	--	--	--	--	--	--	--	-------------------------	--	--

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 01
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ამბულატორიული მომსახურება

არის ქვეპროგრამა ახალი?      კი/ არა
--------------------------------------

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	191 600
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>191 600</b>

ქვეპროგრამის მიზანი:

ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტითა და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მერისის, დანდალოს, ცხმორისის წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, დოლოვნის,

ოქტომბრის და პირველი მაისის ამბულატორიების მომსახურება.

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მძღოლის ხელფასი	10	350*12	42000
საწვავი 9 ავტომობილზე (ლიტრი)	1962,50*12	2.00	47100
ავტომანქანების მიმდინარე რემონტი	10	1200	12000
ავტომანქანების დაზღვევა	10	750	7500
ელექტროენერჯის გადასახადი	10	20*12	2400
გათბობის ხარჯი	10	600	6000
მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობები	11	50*12	6600
ავტომანქანის საბურავები	9	800	7200
სამედიცინო ნარჩენების გატანა	10	50*12	6000
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	11	6	792
პროგრამის მართვის ხარჯი	1		14008
ავტომანქანის შექმნა	1		40 000
<b>სულ ჯამი</b>	<b>X</b>	<b>X</b>	<b>191600</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ამბულატორიული მომსახურება	X	X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები					
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია



	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება	გამართული ტრანსპორტის რაოდენობა, რომელიც ემსახურება ამბულატორიის ექიმებს	10	10	10	10	10	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

**დამატებითი ინფორმაცია**

ნივის ტიპის ავტომობილებზე საწვავი ერთ თვეში გაცემული იქნას არაუმეტეს 200 ლიტრისა, ხოლო უაზის ტიპის ავტომობილებზე არაუმეტეს 220 ლიტრისა.  
 აღნიშნულ ქვეპროგრამას ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“, რომელსაც 10 (ათი) ერთეული მოძრავი ქონება გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით თხოვნების უფლებით.

*ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 01 02

**ქვეპროგრამის დასახელება:**

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

**დაფინანსების წყარო**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	154 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>154 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისთვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა.

დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მედიკამენტების მიწოდება და ანაზღაურება მოხდება ყოველკვარტალურად.

პროგრამის მოსარგებლებები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-სათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ანხორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

მედდების შერჩევა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე გასაუბრების წესით, თანდართული დოკუმენტებით (შესაბამისი განათლების დოკუმენტი, პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტები)

**ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით**

დასახელება			პროდუქტები		
			რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>მედდების ხელფასი</b>			<b>40</b>	<b>250*12</b>	<b>120000</b>
<b>მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის</b>			<b>40</b>		<b>24302</b>
დასახელება			შეფუთვის ფორმა		
ანალგინი 50% 2მლ.	Metamizol sodium	ამპულა	1920	0,2	384
ანალგინი 0,5გ.	Metamizol sodium	ტაბლეტი	9600	0,05	480
კეტოროლაკი 30მგ./1მლ.	Ketorolac	ამპულა	1440	1	1440
სპაზმალგონი 5მლ.	Pitofenone hydrochloride	ამპულა	1440	1,50	2160
სუპრასტინი 25 მგ.	Chloropyramine	ტაბლეტი	9600	0,3	2880
დექსამეტაზონი 4მგ. 1მლ.	Dexamethasone	ამპულა	1440	1	1440
კოფეინი 20% 1მლ.	Coffeine - sodium benzoate	ამპულა	1440	0,2	288
ნიფედიპინი 10მგ.	Nifedipine	ტაბლეტი	4800	0,1	480
იმოდიუმი 2მგ.	Loperamide hydrochloride	ტაბლეტი	1920	0,10	192
რეჰიდრონი 18.9 გრ.	Regidron	პაკეტი	960	1,3	1248
ტემპალგინი 0,5გ.	TEMPALGIN - Metamizol sodium	ტაბლეტი	4800	0,2	960

ციტრამონი	Coffeine+ Acetylsalilic acidi+ Paracetamol	ტაბლეტი	8640	0,06	518
ვალიდოლი	Validolum (sol.menthol in acidi isovalerianae)	ტაბლეტი	4800	0,05	240
კაპტოპრილი 25მგ.	Captopril	ტაბლეტი	9600	0,2	1920
ნო-შვა 40მგ/2მლ.	Drotaverine hydrochloride	ამპულა	1440	1	1440
ნო-შვა 40მგ.	Drotaverine hydrochloride	ტაბლეტი	9600	0,5	4800
პარაცეტამოლი 0,5გ.	Paracetamol	ტაბლეტი	9600	0,05	480
კორვალოლი 25მლ.	Oleum mentha piperitae+ phenob. + ethylbromisovalerianate	ფლაკონი	960	0,8	768
ვალერიანის ნაყენი 25მლ.	Tinctura Valerianae	ფლაკონი	960	0,6	576
ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ.	Solutio viridis nitentis spirituosa 1%	ფლაკონი	480	0,4	192
იოდის 5% სპირტიანი ხსნარი 10მლ.	solutio Iodi spirituosa 5%	ფლაკონი	480	0,45	216
ეთანოლი სამედიცინო 95% 100მლ.	Aethanolum Medicinalis 95%	ფლაკონი	480	1,2	576
ფურაცილინის 0,02% ხსნარი 100მლ.	Solutio Furacilini 0,02%	ფლაკონი	480	0,7	336
წყალბადის ზეჯანგი 3% ხსნარი 100მლ.	Solutio Hydrogenii peroxydi diluta 3%	ფლაკონი	480	0,6	288
<b>დამხმარე სამედიცინო მასალები</b>			<b>40</b>		<b>5698</b>
დასახელება		შეფუთვის ფორმა			
ბამბა 50გრ.		ცალი	960	0,96	922
სტერილური საფენები		პაკეტი	960	0,5	480
ბინტი არასტერილური 7*14		ცალი	960	1	960
ბინტი სტერილური 7*14		ცალი	480	1,55	744
შპრიცი 2მლ.		ცალი	4800	0,15	720
შპრიცი 5მლ.		ცალი	4800	0,2	960
ლეიკოპლასტირი 2*500		ცალი	480	1	480
ნიღაბი სამედიცინო		ცალი	480	0,2	96
ხელთათმანი არასტერილური		წყვილი	960	0,15	144
შპადელი ხის სტერილური		ცალი	1920	0,10	192
<b>გლუკომეტრის ტესტ - ჩხირები</b>			<b>40</b>		<b>4000</b>
დასახელება	აღწერილობა	შეფუთვის ფორმა			

გლუკომეტრის ტესტ - წიურები	Accu – CHEK Active	ცალი	4000	1	4000
-------------------------------	--------------------	------	------	---	------

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	X	X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

**ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები**

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.	ბენეფიციართა რაოდენობა	16000 (არაუმეტეს)	16000 (არაუმეტეს)	16000 (არაუმეტეს)	16000 (არაუმეტეს)	16000 (არაუმეტეს)	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

**დამატებითი ინფორმაცია**

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედღების მიერ ხორციელდება ანგარიშების წარმოდგენა ყოველი თვის დასასრულს

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 01 03

ქვეპროგრამის დასახელება:

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის

არის ქვეპროგრამა ახალი?

კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	85 200
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>85 200</b>

ქვეპროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზე ქედის მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზე არის 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სიტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებს ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდება სტაციონარში, სოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების გაუარესებას იწვევს, გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქდება ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას.

